

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის

საქმიანობის შეჯამება – 2025 წელი

„ჩვენ ვიცავთ მომხმარებელთა უფლებებს ენერგეტიკის სექტორში“





მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი წარმოგიდგენთ ენერგეტიკის სფეროში მომხმარებელთა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობისა და ამ მიმართულებით სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის 2025 წლის ანგარიშს. ანგარიშში საუბარია იმ ძირითად ტენდეციებზე, გამოწვევებსა და პრობლემებზე, რომლებიც გამოვლინდა მომხმარებელთა უფლებების რეალიზაციის პროცესში.

სამართლებრივი სახელმწიფოს და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ენერგეტიკის სფეროში არსებული მომხმარებელთა უფლებების დაცვა. სწორედ რომ დამცველი თავისი რეკომენდაციებით ცდილობს, დაამკვიდროს მომსახურების მაღალი სტანდარტი და გადაწყვიტოს პრაქტიკული სირთულეები, რაც არსებობს კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის. დამცველის მთავარი ამოცანაა წყალმომარაგების, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და ირიგაციის სექტორებში მოქმედ კომპანიებსა და მომხმარებელს შორის ინტერესების მიუკერძოებლად და სამართლიანად დაცვა.

ამის ნათელი დადასტურებაა დამცველის სამსახურისადმი მომხმარებელთა მასიური ხასიათის მომართვები, როგორც დარღვეული უფლების აღსადგენად, ასევე იურიდიული კონსულტაციის მისაღებად საკუთარ უფლება-მოვალეობებში გარკვევისათვის.

კომუნალური მომსახურება წარმოადგენს მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს და პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ღირსეულ ცხოვრებას. წყალმომარაგება, ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, ირიგაცია არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისი, რომელთა ხელმისაწვდომობა, ხარისხი და უწყვეტობა განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს. დამცველი საკუთარ საქმიანობაში მიზნად ისახავს როგორც კონკრეტული დარღვევების აღმოფხვრას, ისე პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ენერგეტიკის სფეროში სამართლიანი, დაბალანსებული და მომხმარებელზე ორიენტირებული პრაქტიკის ჩამოყალიბებას. სწორედ რომ დამცველი საკუთარ საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, მიუკერძოებლობის, თანასწორობისა და პროპორციულობის პრინციპებით და მიზნად ისახავს არა მხოლოდ კონკრეტული დარღვევის აღმოფხვრას, არამედ მოხმარებელთა დაცვის სისტემის ინსტიტუციურ გაძლიერებას. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობას სახელმწიფო ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა პრობლემები მომსახურების ხარისხთან და ასევე მომხმარებელთა სათანადო ინფორმირების ნაკლებობასთან დაკავშირებით. ენერგეტიკის სექტორში არსებული ხარვეზები კიდევ ერთხელ მიუთითებს სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზე. 2025 წელი მნიშვნელოვანი გამოწვევით გამოირჩეოდა, რადგან დაფიქსირდა პირველი განცხადება ირიგაციის სექტორიდან.

სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საზოგადოების ცნობიერების გაზრდა და მათი უფლებების დაცვა. აღნიშნული მიზნით, სამსახურმა გამართა არაერთი საინფორმაციო ხასიათის ღონისძიება. სამსახურის 2025 წლის საქმიანობის სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს სამსახურის მიმართ საზოგადოების გაზრდილ მომართვიანობას, მომხმარებელთა დაცვის კანონიერების მასშტაბურობასა და მის შედეგებს. 2026 წელს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კვლავ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა იქნება.

მადლობა მინდა გადავუხადო გაწეული შრომისთვის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, სახელმწიფო ორგანოებსა და კომპანიებს აქტიური თანამშრომლობისათვის. ასევე ენერგეტიკის სექტორის მომხმარებლებს დამცველის სამსახურის მიმართ არსებული ნდობისთვის.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.გულეიშვილი



ძირითადი მონაცემები – 2025 წელი

ენერგომბუდსმენის სამსახურის საქმიანობის მოკლე სტატისტიკა

2322

დარეგისტრირებული
კორესპონდენცია

1486

გასული კორესპონდენცია
მათ შორის: 1052 სამართლებრივი
რეკომენდაციები /
შუამდგომლობები

1055

საჩივარი (განცხადებები)
მათ შორის ოქმი 418

188583 ლ

მოქალაქეებისთვის ჩამოწერილი თანხა

30 ათასზე მეტი მოქალაქე

სულ გაწეული კონსულტაციები (სოციალური
ქსელებით, ცხელი ხაზით და ადგილზე
მოსვლით)

განცხადებების საერთო რაოდენობა: 1055

საერთო ჯამში მიღებულია 1055 განცხადება სხვადასხვა სექტორში, რაც ასახავს მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში.



სასმელი წყალი 505

წყალმომარაგების
ინფრასტრუქტურასა და
მომსახურების ხარისხთან
დაკავშირებული განცხადებები



ელექტროენერგია 442

ელექტრომომარაგების,
ტარიფებისა და მომსახურების
საკითხები



ბუნებრივი გაზი 106

გაზმომარაგების სისტემასთან და
მომსახურებასთან დაკავშირებული
საკითხები



ირიგაცია 2

სასოფლო-სამეურნეო
წყალმომარაგების საკითხები და
მომსახურება

განცხადებები სექტორების მიხედვით

1

სასმელი წყლის სექტორი

სულ: 505 განცხადება. დეტალური განაწილება კომპანიების მიხედვით:

კომპანია	განცხადებები
შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	313
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	185
შპს „ბათუმის წყალი“	5
შპს „ქობულეთის წყალი“	1
შპს „მარნეულის წყალი“	1

2

ელექტროენერგიის სექტორი

სულ: 442 განცხადება. დეტალური განაწილება კომპანიების მიხედვით:

კომპანია	განცხადებები
სს „თელასი“	60
შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“	31
სს „ენერგო პრო ჯორჯია“	342
სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“	9

3

ბუნებრივი გაზის სექტორი

სულ: 106 განცხადება. დეტალური განაწილება კომპანიების მიხედვით:

კომპანია	განცხადებები
შპს „თბილისი ენერჯი“	63
შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“	22
სს „საქორგგაზი“	19
შპს „თელავგაზი“	2

4

ირიგაციის სექტორი

სულ: 1 განცხადება. დეტალური განაწილება კომპანიების მიხედვით:

კომპანია	განცხადებები
შპს „საქართველოს მელიორაცია“	2

განცხადებების კატეგორიები

მომართვიანობის მთავარი წილი უკავია ხარისხის და უსაფრთხოების საკითხებს.



ხარისხი და უსაფრთხოება

854 განცხადება

- ხარისხი: 473
- უსაფრთხოება: 289
- კომერციული ხარისხი: 96



რეგისტრაცია და მიერთება

35 განცხადება

- აბონენტად რეგისტრაცია: 20
- ქსელზე მიერთება: 11
- ქსელის მოწყობა: 4 (წყალი: 1, გაზი: 2, კომუნიკაციები: 1)



დარიცხული თანხები

157 განცხადება

- ტარიფის კორექცია: 6
- განწილვადებებზე შუამდგომლობა: 5
- ხანდაზმული დავალიანება: 10
- უსაფუძვლო დარიცხვა: 136

რეგიონული ვიზიტები



ენერგომბუდსმენის სამსახურმა 2025 წლის განმავლობაში განახორციელა 11 რეგიონული ვიზიტი



გაიზარდა მოქალაქეთა ჩართულობა

რეგიონებში ცნობიერების ამაღლების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მომართვიანობა



ინფრასტრუქტურის განახლება

კომპანიების მიერ ქსელების მოდერნიზაცია და მომსახურების გაუმჯობესება



პირდაპირი კომუნიკაცია

მოქალაქეებთან პირისპირ შეხვედრები და პრობლემების ადგილზე გადაჭრა

ძირითადი მიზნები იყო:

- მოქალაქეთა ენერგომომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა;
- მედიაციის გზით პრობლემების გადაჭრა;
- ცნობიერების ამაღლება მომხმარებელთა უფლებების შესახებ;
- ადგილზე კონსულტაციების გაწევა;

ვიზიტები რეგიონებში:

- ბათუმი
- ზუგდიდი
- ქუთაისი
- ქობულეთი
- თერჯოლა
- ტყიბული
- მარტვილი
- გურჯაანი
- ხარაგაული
- ჰანკისის ხეობა (დუისი)
- შიდა ქართლი (გორის, კასპის, ხაშურის და ქარელის მუნიციპალიტეტები)
 - შეხვედრა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულთან
 - შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერებთან
 - 70 ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები
 - განიხილეს ენერგეტიკული გამოწვევები და მოქალაქეთა უფლებების დაცვის პრობლემები

ვიზიტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაში. შემდგომ პერიოდში სწორედ ამ რეგიონებიდან გაიზარდა მომართვიანობა, რის შედეგადაც კომპანიებმა დაიწყეს ინფრასტრუქტურის განახლება.

საჯარო ჩართულობა და მედია ურთიერთობა

2025 წელს ენერგომბუდსმენის სამსახურმა აქტიურად იმუშავა საჯაროობის და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, მოაწყო და მონაწილეობა მიიღო მრავალ მნიშვნელოვან ღონისძიებაში.



მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კვირეული

პანელური დისკუსია თემაზე: „მომხმარებელთა
სამართლებრივი მდგომარეობა ენერგეტიკის
სექტორში“.



მომხმარებელთა უფლებების დაცვის III საერთაშორისო კვირეული

ორგანიზებული ექვსი მარეგულირებელი უწყების
ერთობლივი ძალისხმევით.



შეხვედრა ყრუთა კავშირთან

მომხმარებელთა უფლებების გაცნობა და პრობლემების
იდენტიფიცირება (ელექტროენერგია, გაზი, წყალი).



აქტიური მედია თანამშრომლობა

ენერგომბუდსმენის მუდმივი ჩართულობა მედიასთან
ცნობადობის ამაღლებისთვის.



ტრენინგები

- ტრენინგი ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის
საბაფხულო სკოლაში – ახალგაზრდებში
სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.
- ტრენინგი თემაზე „მომხმარებელთა ინტერესების
საზოგადოებრივი დამცველის ფუნქცია-
მოვალეობები“ – ენერგეტიკის სასწავლო ცენტრში.



სტატია სემეკის ჟურნალში

„ენერგომბუდსმენი – 20 წელი მომხმარებელთა
დაცვის სამსახურში“, ავტორები: ნინო გულეიშვილი და
ნანა ხარაძე. პუბლიკაცია ასახავს ენერგომბუდსმენის
საქმიანობის მრავალწლიან გამოცდილებას.

სამუშაო შეხვედრები კომპანიებთან

დამცველი პერიოდულად ატარებს სამუშაო შეხვედრებს კომპანიებთან, სადაც მედიაციის ფორმატში განიხილება მომხმარებელთა პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. საჭიროების შემთხვევაში კომპანიებს მიეწოდებათ შესაბამისი რეკომენდაციები.

სს „თელასი“ და შპს
„თბილისის
ელექტრომომწოდებელი
კომპანია“

ელექტროენერგიის მიწოდებასთან
დაკავშირებული პრობლემები

სს „ენერგო პრო ჯორჯია“

არასტაბილური
ელექტრომომარაგება და ხშირი
წყვეტები

ენერგომომწოდებლისა და
კომუნიკაციის ომბუდსმენის
ერთობლივი შეხვედრა

ინფრასტრუქტურასთან დაშვების
საკითხები (ელექტროენერგიის
გამორთვის აუცილებლობა
სამუშაოებისას). შეხვედრას
ესწრებოდნენ სს „ენერგო პრო
ჯორჯიას“ და კომუნიკაციების
პროვაიდერი კომპანიების
წარმომადგენლები

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

- წყლის არასტაბილური მიწოდებისა და წყალმომარაგების ქსელის გაუმართაობის განხილვა მოქალაქეების მონაწილეობით
- ენერგომომწოდებლის ჩართულობით რიგი საკითხები მოქალაქეთა სასარგებლოდ გადაწყდა
- კომპანია განახორციელებს ტექნიკურ სამუშაოებს უწყვეტი წყლის მიწოდებისა და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად

ბუნებრივი გაზის უსაფრთხო მოხმარების კამპანია

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივმა დამცველმა დაიწყო საინფორმაციო და სარეკომენდაციო კამპანია, რომლის მიზანია მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ბუნებრივი გაზის უსაფრთხო მოხმარების საკითხებზე და ზამთრის სეზონთან დაკავშირებული რისკების პრევენცია. კამპანიის ფარგლებში დამცველი აქტიურად თანამშრომლობს მედიის წარმომადგენლებთან.



კამპანიის მიზანი

მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ბუნებრივი გაზის უსაფრთხო მოხმარების საკითხებზე და ზამთრის სეზონთან დაკავშირებული რისკების პრევენცია.



ინფორმაციის გამოთხოვა და შეხვედრები კომპანიებთან

დამცველმა ბუნებრივი გაზის კომპანიებიდან გამოითხოვა ინფორმაცია გაზის ქსელების ტექნიკური მდგომარეობის, შემოწმების მიმდინარეობისა და გამოვლენილი დარღვევების შესახებ.

სამუშაო შეხვედრები გაიმართა შემდეგ კომპანიებთან: შპს „თბილისი ენერჯის“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“, სს „საქორგგაზის“, შპს „დიდი დიღმის“ და სს „ენერგოკავშირის“ წარმომადგენლებთან.



განხილული საკითხები შეხვედრებზე

- აბონენტთა ქსელების შემოწმების პროცესი;
- გამოვლენილი დარღვევები და მათი აღმოფხვრის მექანიზმები;
- ტექნიკური და უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები.



შეხვედრების შედეგები და სამომავლო გეგმები

კომპანიებმა გამოაცხადეს მზადყოფნა მიმდინარე პროცესების გაუმჯობესებისა და კოორდინირებული თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ, რაც მიზნად ისახავს ზამთრის სეზონზე მომხმარებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ენერგომბუდსმენი განაგრძობს მონიტორინგს და აქტიურ კომუნიკაციას შესაბამის კომპანიებთან.

დამცველის სამუშაო ვიზიტი შპს „თბილისი ენერჯიში“

დამცველმა განახორციელა სამუშაო ვიზიტი შპს „თბილისი ენერჯიში“, რომლის მიზანი იყო მოქალაქეთა მიმართებით გამოკვეთილი პრობლემების განხილვა და ბუნებრივი გაზის მიწოდების სფეროში არსებული გამოწვევების შეფასება.



ვიზიტის მიზანი

მოქალაქეთა მიმართებით გამოკვეთილი პრობლემების განხილვა და ბუნებრივი გაზის მიწოდების სფეროში არსებული გამოწვევების შეფასება.



განხილული საკითხები

- უსაფრთხოების სტანდარტების შესრულება
- მომსახურების ხარისხი და მოქალაქეთა ინფორმირების პრაქტიკა
- ინციდენტების პრევენცია და მომხმარებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა



ობიექტების დათვალიერება

დამცველმა დაათვალიერა კომპანიის მეტროლოგიური ლაბორატორია და სასწავლო ცენტრი, სადაც ხორციელდება:

- გაზმომწველების შემოწმება
- ტექნიკური პროცედურები
- თანამშრომლების პრაქტიკული სწავლება უსაფრთხოების მიმართულებით



სამომავლო თანამშრომლობა

ენერგომბუდსმენი მომავალშიც გააგრძელებს თანამშრომლობას კომპანიასთან მაღალი უსაფრთხოების სტანდარტების უზრუნველსაყოფად და მომხმარებელთა უფლებების დასაცავად.

⚡ ენერგომბუდსმენის სამუშაო ვიზიტი სს „თელასში“

მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და სერვისის გაუმჯობესების ახალი ეტაპი



ვიზიტის მიზანი

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივმა დამცველმა სამუშაო ვიზიტი განახორციელა სს „თელასში“ მოქალაქეთა მიმართებით გამოკვეთილი საკითხების და სექტორში არსებული ძირითადი გამოწვევების განხილვის მიზნით.



განხილული საკითხები

ვიზიტის ფარგლებში ენერგომბუდსმენი გაეცნო კომპანიის მეტროლოგიური ლაბორატორიის მუშაობას (მრიცხველების შემოწმება და დაკალიბრება), ჭკვიანი მრიცხველების ფუნქციონირებას და მათ დანერგვის მექანიზმებს. ასევე, დაათვალიერა „თელასის“ მოქალაქეთა მისაღები, სადაც დეტალურად გაეცნო მომხმარებელთა მომსახურების პროცესს და სტანდარტებს.



მთავარი განსახილველი საკითხები

- მიმდინარე თანამშრომლობა
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზები
- სამომავლო ერთობლივი ნაბიჯები, რომლებიც მოქალაქეთა ინტერესების დაცვას გააძლიერებს.



სამომავლო თანამშრომლობა

ენერგომბუდსმენის სამსახური მომავალშიც გააგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას ენერგოკომპანიებთან, რათა მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირება კიდევ უფრო სწრაფი, შედეგიანი და მომხმარებელზე ორიენტირებული გახდეს.

პრეცედენტული შემთხვევები და სწრაფი რეაგირება

9 თებერვალი: გაზსადენის ავარია

შპს „თბილისი ენერჯის“ 500 მმ გაზსადენის ავარიამ დააზარალა **150,000 აბონენტი**. სამსახურმა დაუყოვნებლივ აღმოუჩინა მხარდაჭერა 400 მოქალაქეს.

4 აგვისტო: წყალმომარაგების შეწყვეტა გორში

წერილი შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიას“ წყლის შეწყვეტის ფაქტზე და სწრაფი რეაგირება.

11 აგვისტო: ირიგაციის პირველი პრეტენზია

ირიგაციის სექტორში პირველი პრეტენზიის მიღება და დამუშავება ახალი სტანდარტების შესაბამისად.

19 აგვისტო: წყალარინების დაზიანება გონიოში

ინიციატივით დაწყებული საქმე და თანამშრომლობა შპს „ბათუმის წყალთან“ საკითხის გადასაჭრელად.



კვლევა და სისტემური ანალიზი



წყალმომარაგების კვლევა

ენერგომბუდსმენის სამსახურმა დაიწყო კვლევა სასმელი წყლის მიწოდების მდგომარეობაზე დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში.



ინფორმაციის შეგროვება

კვლევის ფარგლებში მიმართვა სახელმწიფო რწმუნებულებთან ინფორმაციის მოსაპოვებლად.



ინოვაციური კომუნიკაციის არხები



სატელეფონო მხარდაჭერა

რეგულარული კომუნიკაცია და კონსულტაციები



Viber/whatsapp-ჩატი

ეფექტური თანამშრომლობა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ – **250 შემთხვევაზე** დროული რეაგირება




სოციალური ქსელები

ინიციატივით დაწყებული საქმეები და ოპერატიული კომუნიკაცია



ენერგომბუდსმენის სამსახური ახორციელებს სამუშაო ვიზიტებს ადგილზე დათვალიერებით, სადაც მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწეები ადგილზე ეცნობიან და აფასებენ მომხმარებელთა მიერ განცხადებაში მითითებულ პრეტენზიებს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ეფექტიანობასა და ნდობას. სულ განხორციელდა 30 ვიზიტი.



დომინანტი არხები მოიცავს სოციალურ ქსელებს, ელექტრონულ ფოსტას და სატელეფონო კომუნიკაციას, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას ყველა მოქალაქისთვის.

ფინანსური შედეგები

32.898 ლ

გაუქმებული დეპოზიტი

სამედიცინო

დაწესებულებისთვის

188583 ლ

მოქალაქეებისთვის

ჩამოწერილი

თანხა

100 % პასუხისმგებლობა

დროული რეაგირება ყველა კრიზისულ სიტუაციაზე

ეს მონაცემები ნათლად აჩვენებს ენერგომბუდსმენის მნიშვნელოვან წვლილს მოქალაქეების ფინანსური ინტერესების დაცვაში. გაუქმებული დეპოზიტები სამედიცინო დაწესებულებებისთვის და დაბრუნებული თანხები მოქალაქეებისთვის ხაზს უსვამს სამსახურის ეფექტიანობას და პასუხისმგებლობას თითოეულ კრიზისულ სიტუაციაზე დროული რეაგირებისას.



სამსახური 2026 წელს გააგრძელებს საქმიანობას გამჭვირვალობის, უსაფრთხოების, ნდობისა და მოქალაქეთა ინტერესებზე ორიენტირებული მუშაობის პრინციპებით.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი
დამცველის სამსახური



მისამართი

ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. 27ბ



ცხელი ხაზი

032 242 01 90



ელფოსტა

mail@pdci.ge



ვებგვერდი

www.pdci.ge



სოციალური ქსელები

Energy Ombudsman |

ენერგომბუდსმენი

ენერგომბუდსმენის სამსახური – შენი უფლებების დაცვის გარანტია

ენერგომბუდსმენი
ENERGY OMBUDSMAN